საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 20 მაისი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/29

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელეხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების: დიზაინი - ტექსტილის დიზაინი, მოდის დიზაინი; აუდიო-ვიზუალური რეჟისურა-მხატვრული კინოს რეჟისურა, მხატვრული ტელეფილმების რეჟისურა დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და კინო-ტელეხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს № 28 სხდომის (2013 წლის 13 მაისი) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი

- დიზაინი (ტექსტილის დიზაინი, მოდის დიზაინი);

პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ქეთევან ვაჩეიშვილი.

კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტი

- აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (მხატვრული კინოს რეჟისურა, მხატვრული ტელეფილმების რეჟისურა);

პროგრამის ხელმძღვანელი - სრული პროფესორი ზაზა ხალვაში

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია